

გზამკვლევი

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის

QUICK START GUIDE

FOR BACHELOR'S STUDENTS



IBSU



შინაარსი

საგანმანათლებლო პროცესის	4
რეგისტრაცია	4
საგანმანათლებლო პროგრამების	5
სტრუქტურა, კრედიტების განაწილება	
გამოცდები და შეფასების მიმართ	6
მოქმედი წესები	
4.1. შეფასების წესები	7
4.2. დამატებითი სემესტრი	10
4.3. განმეორებითი სასწავლო კურსი	10
სტუდენტის სტატუსი	11
5.1. სტუდენტის სტატუსის შენარჩუნება	11
5.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	11
5.3 სტუდენტის სტატუსის აღდგენა	12
სტუდენტის უფლებები	13
უკუდაბრუნების კანდიდატი	16
გინევირობები (პროგრამების)	16
საერთაშორისო პროგრამები	16
პრაქტიკა	16
“სმარტი“, “SIS“, შუსუ-ის ედ-ფოლტა,	16
სტუდენტის სანიმუშო ფიქსირებული ბარათი	
11.1. სტუდენტის სანიმუშო ფიქსირებული ბარათი – „სმარტი“	16
11.2. სტუდენტის სანიმუშო ფიქსირებული ბარათი – „SIS“	17
11.3. სტუდენტის სანიმუშო ფიქსირებული ბარათი	17
11.4. შუსუ-ის ედ-ფოლტა	17
შუსუ-ის დამატებითი და ფორმაციული	17
ხელისუფლების	
ადგილის რეგისტრაციის დროის სპონსორული	17-18
ინფორმაცია	

1. საგანმანათლებლო პროცესი

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (შემდგომში „შპსუ“) ავტონომიური დაწესებულებაა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების წარმართვა. შპსუ ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ეწევა შემოქმედებით, კვლევით, უწყვეტ განათლებაზე ორიენტირებულ და საგამომცემლო საქმიანობას.

2. რეგისტრაცია

ყოველი სემესტრის დასაწყისში რეგისტრაციის პროცესის ადმინისტრირებას ახდენს ფაკულტეტის წარმომადგენელი და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. რეგისტრაციის პროცესი მოიცავს:

- აკადემიურ რეგისტრაციას (სასწავლო კომპონენტების არჩევა) და
- ფინანსურ რეგისტრაციას - უნივერსიტეტის დებულებებისა და სტუდენტთან

გაფორმებული ხელშეკრულების (შეთანხმების) შესაბამისად სწავლის საფასურის დაფარვას.

კომპონენტზე დარეგისტრირების მიზნით, აკადემიური კალენდრით <https://ibs.edu.ge/ge/academic-calendar/> განსაზღვრულ პერიოდში, სტუდენტებს ეხსნებათ წვდომა მონაცემთა ბაზაზე <https://sis.ibsu.edu.ge/>

სასწავლო კომპონენტზე რეგისტრაციის პროცესი სრულდება სტუდენტის მიერ რეგისტრაციის დადასტურებით (რეგისტრაციის კვირა).

რეგისტრაციის კვირის დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში, სტუდენტს შეუძლია დაამატოს, შეცვალოს ან წაშალოს არჩეული სასწავლო კომპონენტი შპსუ-ის დებულებების შესაბამისად (სათადარიგო კვირა). ამ მიზნით, სტუდენტები განცხადებით მიმართავენ ფაკულტეტის დეკანს.

თუ სტუდენტმა ვერ გაიარა აკადემიური რეგისტრაცია რეგისტრაციის კვირაში, ის უფლებამოსილია, აკადემიური რეგისტრაცია გაიაროს სათადარიგო კვირაში.

საპატიო მიზეზის (მაგალითად, ავადმყოფობა ოჯახის წევრის გარდაცვალება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით) არსებობისას, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რეგისტრაციის გავლა აგრეთვე შესაძლებელია სათადარიგო კვირის დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

სტუდენტის მიერ რეგისტრაციის კვირიდან სამი კვირის განმავლობაში დაურეგისტრირებლობის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსი ჩერდება.

3. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და კრედიტების განაწილება

საგანმანათლებლო პროცესი საბაკალავრო საფეხურზე ჩვეულებრივ მოიცავს 8 სემესტრს. უნივერსიტეტში არის ორი ტიპის სასწავლო კომპონენტი: სავალდებულო და არჩევითი. სწავლების ენა შხსუ-ში არის ინგლისური და ქართული პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად.

აკადემიური პროგრამის თითოეულ საფეხურზე სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება ხდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტოსისტემით (ECTS). კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 6000 ასტრონომიულ საათს, რაც ECTS-ის 240 კრედიტის ექვივალენტურია.

სტუდენტის საშუალო წლიური დატვირთვა არის 60 კრედიტი - 1500 საათი (1 კრედიტი არის 25 საათი და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს). სტუდენტის სემესტრული დატვირთვა არის 30 კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

სტუდენტს უფლება აქვს აიღოს სემესტრში 30 კრედიტზე ნაკლები ან მეტი (წლიწლადში არაუმეტეს 75 კრედიტი) თუ აღნიშნული:

1. განპირობებულია საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებით.
2. განპირობებულია სტუდენტის ინდივიდუალური პროგრამის თავისებურებით:
 - ა) გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით;
 - ბ) მობილობით/შიდა მობილობის წესით გადმოსვლით;
 - გ) კომპონენტში ჩაჭრით;
 - დ) სტუდენტის სურვილით სემესტრის განმავლობაში აიღოს დამატებითი კომპონენტ(ებ)ი;

ე) ფაკულტეტის საბჭოს მიერ სხვა ობიექტურ საფუძვლად მიჩნეული გარემოებით.

4. გამოცდები და შეფასების მიმართ მოქმედი წესები

გამოცდის მიმართ მოქმედი წესები:

შუალედური და დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში გამოცდების ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ სტუდენტებს ეცნობებათ გამოცდის ჩატარებამდე სულ მცირე 7 კალენდარული დღით ადრე, აღდგენითი შუალედური/დასკვნითი გამოცდის განრიგის შესახებ, სტუდენტებს ეცნობებათ გამოცდის ჩატარებამდე 2 სამუშაო დღით ადრე, ხოლო დამატებით გამოცდის განრიგი გამოცხადდება დასკვნით გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან 1 სამუშაო დღეში. შესაბამისი ინფორმაცია განთავსდება ფაკულტეტების ვებ-გვერდებსა და სტუდენტთა საინფორმაციო ბაზაში - www.sis.ibsu.edu.ge. ზემოაღნიშნული გამოცდების ჩატარების ადგილის შესახებ, სტუდენტებს ეცნობებათ ელექტრონული საინფორმაციო სისტემის საშუალებით, გამოცდის ჩატარებამდე სულ მცირე 15 წუთით ადრე.

გამოცდის წესების დარღვევა:

- თუ სტუდენტი დაარღვევს გამოცდის ნებისმიერ წესს (მათ შორის გადაწერის მცდელობა/გადაწერა, გადაწერაში სხვისთვის დახმარების გაწევა, სხვა სტუდენტთან საუბარი ნებისმიერ თემაზე და ა.შ) სტუდენტის ნამუშევარი ნულდება და მის მიმართ ამოქმედდება „სტუდენტთადისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესი“ (R07).
- თუ გამოცდის შედეგების შემოწმებისას (გამოცდის ჩატარებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში) ლექტორს წარმოეშვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ სტუდენტმა გადაიწერა, ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ლექტორი უფლებამოსილია თავიდან მოსთხოვოს სტუდენტს გამოცდის ჩაბარება წერილობით ან ზეპირად.
თუ სტუდენტი ვერ დაადასტურებს ცოდნას, მისი საგამოცდო ნამუშევარი ნულდება და მის მიმართ ამოქმედდება „სტუდენტთადისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესი“ (R07).

დამატებით გამოცდაზე გასვლა:

დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს თუ:

- ა) სტუდენტის ჯამური სემესტრული ქულა (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამი) არის 41-50 ქულა;
- ბ) სტუდენტის ჯამური სემესტრული ქულა (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამი) არის არანაკლებ 51 და მან ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისთვის დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სასწავლო კომპონენტის განმეორებით გავლა:

- თუ სტუდენტი ვერ გადალახავს შუალედური შეფასებისათვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, იგი არ არის უფლებამოსილი მიიღოს დასკვნითი შეფასება. შესაბამისად, მან თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო კომპონენტი.
- თუ სტუდენტის ჯამური ქულა (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ჯამი) არის 41 ქულაზე ნაკლები, ან ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისათვის/დამატებით გამოცდისთვის დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, სტუდენტმა თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო კომპონენტი.
- თუ ჩაჭრილი სასწავლო კომპონენტი არის სავალდებულო სტატუსის, სტუდენტმა თავიდან უნდა გაიაროს აღნიშნული კომპონენტი. თუ ჩაჭრილი კომპონენტი არის არჩევითი - სტუდენტი უფლებამოსილია მის ნაცვლად აიღოს სხვა არჩევითი სასწავლო კომპონენტი, თუ საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

4.1 შუფასების წესები

შზსუ-ის შეფასების ერთ-ერთი პრინციპი არის გამჭვირვალობა – ინფორმაცია შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებზე ხელმისაწვდომია ყველასათვის. სტუდენტს სემესტრის დასაწყისშივე ეცნობება როდის და რა კრიტერიუმებით შეფასდება მისი ცოდნა. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კომპონენტის სილაბუსით და ეცნობება სტუდენტს სემესტრის დაწყებისას.

საკრედიტო სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბოლოო შეფასების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების დაჯამების საფუძველზე.

შეფასების მაქსიმალური ქულა არის 100. საბაკალავრო პროგრამაზე კრედიტის მისანიჭებლად მინიმალური ქულა არის 51. აღნიშნული ქულა შედგება შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულისა და დასკვნითი შეფასების ქულის ჯამისგან. ამასთან, **სტუდენტს გადალახული უნდა ჰქონდეს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები.**

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის კონკრეტული შეფასების ფორმის (შუალედური შეფასება/დასკვნითი შეფასება) განსაზღვრული ქულათა ოდენობა, რომელიც სტუდენტმა უნდა გადალახოს, კონკრეტული კომპონენტის ჩაბარებისათვის. მინიმალური კომპეტენციის ზღვრები განსხვავდება საგნების მიხედვით. ინფორმაცია მინიმალური კომპეტენციის ზღვართან დაკავშირებით მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში და ასევე პირველივე ლექციაზე ლექტორის მხრიდან ხდება სტუდენტების ინფორმირება.

სასწავლო კომპონენტების შუალედური/დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს შესაბამისი შეფასების მაქსიმალური ქულის 20%-ზე ნაკლები. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს დასკვნითი შეფასების 60%-ზე მეტი. კონკრეტული საგანმანათლებლო კომპონენტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დგინდება კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ საგანმანათლებლო კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

შუალედური შეფასებიდან სულ მცირე 6 ქულა ეთმობა სტუდენტის სააუდიტორიო აქტიურობას. ლექტორი უფლებამოსილია, თავისუფლად განსაზღვროს შუალედური შეფასებების მეთოდები და კომპონენტები სასწავლო კურსის/კომპონენტის თავისებურებებიდან გამომდინარე.

შუალედური გამოცდა: გამოცდა, რომელიც ტარდება სემესტრის მე-8 ან მე-9 კვირაში. შუალედური გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს წერილობით, ბეპირად ან შერეული ფორმით.

დასკვნითი შეფასება: შეფასება, რომელიც ხორციელდება ორი კვირის განმავლობაში, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული აკადემიური კალენდრით დადგენილ კვირაში, სემესტრის ბოლოს.

აღდგენითი გამოცდა: შუალედური/დასკვნითი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს შესაბამისად, შუალედურ აღდგენით გამოცდაზე სემესტრის მე-11 კვირას, ხოლო დასკვნით აღდგენით გამოცდაზე, დასკვნითი გამოცდიდან არაუადრეს 3 და არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

სტუდენტი ვალდებულია გამოცდ(ებ)ის გაცდენის საპატიო მიზეზი დაადასტუროს (შუალედური გამოცდის თარიღიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო დასკვნითი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, დასკვნითი გამოცდის თარიღიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში), ფაკულტეტის საბჭოსთვის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტების წარდგენის გზით:

- ა) ცნობა იმის თაობაზე, რომ გადიოდა გეგმიურ/გადაუდებელ ჰოსპიტალიზაციას;
- ბ) კომპონენტის გამოცდა ემთხვევა სხვა კომპონენტის გამოცდის დროს;
- გ) ცნობა სავალდებულო სამხედრო სამსახურში მსახურების თაობაზე;
- დ) ცნობა საქმიანი მივლინების შესახებ, რომელიც ორგანიზებულია შხსუ-ს ან სახელმწიფო სტრუქტურების მიერ;
- ე) ოჯახის წევრის გარდაცვალების ცნობა.
გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზად ასევე ჩაითვლება ისეთი გარემოება, რომლის არსებობის პირობებშიც სტუდენტის მიერ გამოცდის დაწერა ობიექტურად შეუძლებელი იყო.

დამატებითი გამოცდა: გამოცდა, რომელიც ცვლის დასკვნითი შეფასების შედეგს. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს თუ:

ა) სტუდენტის ჯამური სემესტრული ქულა (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამი) არის 41-50 ქულა;

ბ) სტუდენტის ჯამური სემესტრული ქულა (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამი) არის არანაკლებ 51 ქულა და მან ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისათვის დაწესებული მინიმალური ბღვარი - 40 ქულიდან ვერ მიიღო სულ მცირე 15 ქულა.

თითოეული სასწავლო კურსს/კომპონენტს აქვს მხოლოდ ერთი დამატებითი გამოცდა. დამატებითი გამოცდა არის უფასო. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულა ცვლის დასკვნითი შეფასების ქულას.

4.2 დამატებითი სემესტრი

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით შეინარჩუნოს სტუდენტის აქტიური სტატუსი **დამატებით 8 სემესტრის განმავლობაში**.

დამატებით სემესტრში სწავლის გადასახადი განისაზღვრება იმ თანხის ოდენობით, რომელსაც შესაბამის პროგრამაზე იხდიან პირველკურსელები.

4.3. განმეორებითი სასწავლო კურსი

GPA-ს გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტი უფლებამოსილია გაიუმჯობესოს მიღებული დადებითი შეფასება **არაუმეტეს სამი** სასწავლო კურსის განმეორებით გავლის გზით.

აღნიშნულ სასწავლო კურსზე დარეგისტრირების მიზნით, სტუდენტს უკვე მინიჭებული უნდა ჰქონდეს კრედიტი შესაბამის სასწავლო კომპონენტში, რომლის გავლასაც აპირებს ხელმეორედ.

„განმეორებითი სასწავლო კურსის“ აღებასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებები, დამატებითი სასწავლო კომპონენტის აღებისას წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების მსგავსია.

„განმეორებით სასწავლო კურსზე“ დარეგისტრირება ხორციელდება რეგისტრაციის კვირაში, სასწავლო კომპონენტზე რეგისტრაციისათვის დადგენილი წესების დაცვით.

„განმეორებით სასწავლო კურსში“ მიღებული შეფასება ცვლის წინა სასწავლო კომპონენტში მიღებულ შეფასებას.

5. სტუდენტის სტატუსი

5.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

- ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
- ფინანსური დავალიანება;
- აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელიობა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);
- ფინანსური რეგისტრაციის გაუვლელიობა;
- უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);
- პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
- ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის არფლობა (თუ ასეთი დაზღვევის ფლობა მოთხოვნილია საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტით).
სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

- აკადემიური ხარისხის მინიჭება;
- სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

- სულ მცირე ორ სავალდებულო სასწავლო კომპონენტში სამჯერ ჩაჭრა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტი ისარგებლებს შიდა მობილობის უფლებით სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც ჩაჭრილი სასწავლო კომპონენტი არ არის სავალდებულო სტატუსის მქონე კურსი);

- უნივერსიტეტის დისციპლინარული ნორმების დარღვევა, რომლებიც „სტუდენტთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესის“ (R7) შესაბამისად ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;

- ხუთი წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

- პირადი განცხადება;

- გარდაცვალება;

- დამატებითი სემეტრების განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობა (იხ. 4.2).

5.3 სტუდენტის სტატუსის აღდგენა

✓ სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია, სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში.

✓ სტუდენტმა, სასწავლო პროცესის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე, უნდა მიმართოს ფაკულტეტს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თხოვნით.

✓ სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, ფასდება სტუდენტის მიერ გავლილი და გასავლელი სასწავლო კომპონენტები. თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში, საგანმანათლებლო პროგრამამ განიცადა ცვლილება, სტატუსის აღდგენის შემდეგ სტუდენტს შეიძლება ასაღები ჰქონდეს დამატებითი კომპონენტები.

6. სტუდენტის უფლებაები

6.1. სტუდენტი უფლებაა მოსილია:

- 6.1.1. მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი განათლება;
- 6.1.2. მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში;
- 6.1.3. უნივერსიტეტის დებულებებით დადგენილი წესების შესაბამისად თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- 6.1.4. საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი ან თავად იქნეს არჩეული სტუდენტურ თვითმმართველობაში, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებში უნივერსიტეტის დებულებებით დადგენილი წესის შესაბამისად;
- 6.1.5. თავისუფლად დააფუძნოს და/ან გაწევრიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციაში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- 6.1.6. უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად მიიღოს ფინანსური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- 6.1.7. თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომლებსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესში;
- 6.1.8. სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით. აკრედიტირებულ პროგრამაზე გადასვლისას გადაიტანოს სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 6.1.9. ერთი აქტიური სემესტრის შემდეგ ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით შხსუ-ს წესებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

6.1.10. აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა, მონაწილეობა მიიღოს პროგრამის შემუშავებასა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში;

6.1.11. პერიოდულად მიიღოს მონაწილეობა აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებაში ხარისხის მართვის სამსახურთან თანამშრომლობით;

6.1.12. ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მოახდინოს შეკრების ორგანიზება, რომელზეც დაცული იქნება საქართველოს კანონმდებლობა და უნივერსიტეტის დებულებები. სტუდენტთა შეკრება არ უნდა არღვევდეს უნივერსიტეტის წესრიგს და საგანმანათლებლო პროცესის მსვლელობას, კანონმდებლობას, უნივერსიტეტის წესებს;

6.1.13. შემდეგი თანმიმდევრობით განიხილოს მისთვის საინტერესო საკითხი:

6.1.13.1. სასწავლო პროცესის ადმინისტრატორთან;

6.1.13.2. პროგრამის ხელმძღვანელთან;

6.1.13.3. ფაკულტეტის დეკანთან.

6.1.14. საგანმანათლებლო საკითხებზე წამოჭრილ პრობლემებზე წერილობით მიმართოს დეკანს, ხოლო სწავლის საფასურსა და სხვა ფინანსურ საკითხებზე - კანცლერს.

6.1.15. მიიღოს სამართლიანი და ობიექტური შეფასება;

6.1.16. ლექტორთან ერთად, განიხილოს საგამოცდო ნამუშევარი და მიიღოს უკუკავშირი, აგრეთვე სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში ნიშნების შეტანის შემდეგ, გაასაჩივროს საგამოცდო ნამუშევარი;

6.1.17. განახორციელოს შსს-ს დებულებებით, მასთან დადებული ხელშეკრულებითა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

6.2. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი შეფასება, რისთვისაც ნერგავს შესაბამის პროცედურებს.

6.3. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

6.4. სტუდენტი ვალდებულია:

6.4.1. ისწავლოს და განვითარდეს ინტელექტუალურად იმ შესაძლებლობის გამოყენებით, რომელსაც მას სთავაზობს უნივერსიტეტი პირადი ზრდის, განვითარებისა და წარმატებისათვის;

6.4.2. დაეუფლოს მის მიერ არჩეულ და სავალდებულო კომპონენტებს საგანმანათლებლო პროგრამისა და უნივერსიტეტის დებულებების მოთხოვნების შესაბამისად;

6.4.3. დაიცვას უნივერსიტეტის წესები. წესების არცოდნა არ წარმოადგენს სტუდენტის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. ყველა სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს უნივერსიტეტის დებულებებს.

6.4.4. დაიცვას სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ორმხრივი შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებები;

6.5. უნივერსიტეტს და სტუდენტს შორის არსებული ორმხრივი ვალდებულებები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებებით, სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

7. აკადემიური კალენდარი

აკადემიური წელი შედგება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან და არდადეგებისგან. აკადემიური წელი მოიცავს მაქსიმუმ 12 თვეს უწყვეტად და რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური კალენდრის შესაბამისად. აკადემიური კალენდარი ხელმისაწვდომია შსსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - <http://www.ibsu.edu.ge>

8. წინაპირობები (პრარაკვიზიტები)

საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთ სასწავლო კომპონენტს წინაპირობის სახით აქვს სხვა სასწავლო კომპონენტი. სტუდენტი, რომელიც ჩაიჭრა პრერეკვიზიტ სასწავლო კომპონენტში, ვერ დარეგისტრირდება მის მომდევნო სასწავლო კომპონენტზე.

9. საერთაშორისო პროგრამები

საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და სტუდენტებისათვის მობილობის ხელშეწყობის მიზნით, შსსუ სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს მსოფლიო მასშტაბით. შსსუ-ს ჰყავს 60-ზე მეტი პარტნიორი უნივერსიტეტი. გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს (iro@ibsu.edu.ge), ადმინისტრაციული შენობა, ოთახი #215).

10. პრაქტიკა

სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, გაიარონ პრაქტიკა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსის შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ თქვენს ფაკულტეტს.

11. „სმარტი“, „SIS“, შსსუ-ის ელ-ფოსტა, სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი

11.1. სწავლის მარტივი გზა – „სმარტი“

ყველა სტუდენტი ვალდებულია გამოიყენოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი სწავლის მარტივი გზა - „სმარტი“, რომლის მისამართია: <http://www.smart.ibsu.edu.ge>

„სმარტი“ გამოიყენება ლექტორის მიერ სალექციო მასალებისა და სტუდენტებისთვის ყოველკვირეული დავალებების ასატვირთად.

11.2. სტუდენტთა მონაცემთა ბაზა – „SIS“

შსსუ-ს ყველა სტუდენტს აქვს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ მინიჭებული სტუდენტთა მონაცემთა ბაზაში (ვებ-გვერდი: www.sis.ibsu.edu.ge) შესვლის ნომერი (login) და პაროლი, სადაც ნავიგაციის სისტემის მეშვეობით შეუძლიათ საკუთარი პროფილის მართვა, შეფასებების ნახვა და ა. შ.

11.3. სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი

შსსუ სტუდენტებს უზრუნველყოფს საიდენტიფიკაციო ბარათით, რომელიც ახდენს სტუდენტის იდენტიფიცირებას შსსუ-თან.

11.4. შსსუ-ის ელ-ფოსტა

შსსუ-ის ყველა სტუდენტს, რეგისტრაციის ეტაპზე ეხსენება შსსუ-ის ელ-ფოსტა. სტუდენტისათვის ყველა ოფიციალური შეტყობინებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის მიწოდება მოხდება შსსუ-ის ელ-ფოსტის საშუალებით.

12. შსსუ-ს დაბუღავებთან და ფორმაბთან ხელმისაწვდომობა

„შსსუ“-ის ყველა დებულება და ფორმა ატვირთულია ხარისხის მართვის სისტემის პლატფორმაზე - <https://www.tqm.ibsu.edu.ge>. დაინტერესებისა და შენიშვნის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია შევიდეს „შსსუ“-ის ელექტრონული მისამართით და ნახოს და გადმოიწეროს ისინი.

13. ადმინისტრაციული ერთეულების საკონტაქტო ინფორმაცია

სამართლის ფაკულტეტი:

lawfaculty@ibsu.edu.ge

+995 32 2595006 (171)

ოთახი: A314

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი:

bm@ibsu.edu.ge

+995 32 2595006 (188)

ოთახი: N 311

სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათების მეცნიერებათა

ფაკულტეტი:

sseduhum@ibsu.edu.ge

+995 32 2595006 (124)

ოთახი: N 302

სასწავლო პროცესის მართვის სამსახური:

study@ibsu.edu.ge
+995 32 2595006 (175)
ოთახი: N 109

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური:

iro@ibsu.edu.ge
+995 32 2595006
(140/169)
ოთახი: N 217/215

საფინანსო სამსახური:

accountingoffice@ibsu.edu.ge
+995 32 2595006 (139)
ოთახი: N 206

სტუდენტური თვითმართველობა:

პრეზიდენტი: ლია ლოლომაძე

თვითმართველობის დელეგატები:

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი
მარიამ ხანთაძე

სოციალურ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების
ფაკულტეტი
მარიამ კანთელაშვილი

სამართლის ფაკულტეტი
გიორგი წიკლაური

QUICK START GUIDE

FOR BACHELOR'S STUDENTS



CONTENTS

EDUCATIONAL PROCESS	22
REGISTRATION	22
COURSE STRUCTURE DIAGRAM WITH CREDITS	22
EXAMINATION AND ASSESSMENT REGULATIONS	23
4.1. ASSESSMENT REGULATIONS	24
4.2. ADDITIONAL SEMESTER	26
4.3. REPEATED COURSE	26
STUDENT'S STATUS	26
5.1. SUSPENSION OF STUDENT STATUS:	26
5.2. TERMINATION OF STUDENT STATUS	27
5.3 RESTORATION OF STUDENT STATUS	27
STUDENT RIGHTS	28
ACADEMIC CALENDAR	29
PREREQUISITES	30
INTERNATIONAL PROGRAMS	30
INTERSHIPS	30
USING SMART, SIS, IBSU EMAIL, ID CARD	30
11.1. SMARTEST WAY OF LEARNING – SMART	30
11.2. STUDENT INFORMATION SYSTEM – SIS	30
11.3. ID CARD	30
11.4. IBSU MAIL	30
HOW TO ACCESS REGULATIONS AND FORMS	31
CONTACT INFORMATION OF ADMINISTRATIVE UNITS	31

1. EDUCATIONAL PROCESS

International Black Sea University, LLC (hereafter IBSU) is an autonomous institution whose primary goal is to conduct scientific research and higher education activities, which carries out educational programs at all three cycles of higher education, by providing the creative, research, focused on life long learning and publishing activities.

2. REGISTRATION

At the beginning of each semester, the registration process is held by the responsible person of the faculty and Study Process Management Office. Registration process involves registration on study components (academic registration) and payment of the tuition fee in accordance with university - student agreement and related regulations of IBSU.

During academic registration, online database is opened for students to choose study components <https://sis.ibsu.edu.ge/>, as defined by academic calendar <https://ibsu.edu.ge/ge/academic-calendar/>. Registration process is completed after receiving the confirmation from Student. (registration week). During one week after the registration week of the semester, students can add, change or remove registered courses in accordance with IBSU Regulations (add-drop week). For this purpose, students apply to the Dean of the Faculty. If the student was not able to register on courses during the academic registration week, s/he has the possibility to use add/ drop week in order to register academically. Upon the decision of the Faculty Board, registration can take place during one week from the end of the add-drop week based on valid excuse (For example, illness, death of a family member, as evidenced by relevant documentation).

If the student does not register within three weeks (starting from the registration week), his/her status will be suspended.

3. COURSE STRUCTURE DIAGRAM WITH CREDITS

The period of study for bachelor's programs is normally 8 semesters. University delivers two types of courses: Obligatory (core) courses and Elective courses. Language of instruction at IBSU is English and Georgian depending on the program. Student learning outcomes are evaluated on each cycle of academic program, based on European Credit Transfer System – ECTS. 'Credit' reflects the workload of a student and can be attained as a result of obtaining the learning outcomes. Credit is gained after positive assessment of the student in corresponding course calculated in accordance with the regulation. Bachelor's program covers 6000 astronomic hours, which equals to 240 ECTS. Normal annual credit load for each student is 60 ECTS – 1500 hours in which 1 ECTS is equal to 25 hours and includes time for contact and independent work. Workload of a student per semester is 30 ECTS. However, based on the requirements of the educational program or/and the student's individual study

program, the annual workload might be less or more than 60, but no more than 75 ECTS per academic year. **Student is entitled to register with more than 30 credits per semester (within the annual 75 credits limit) if:**

1. It is caused by the requirement(s) of the educational program;
2. It is caused by the requirement(s) of the individual program of the student due to:
 - a) Participation in an exchange program;
 - b) Transferring via mobility/internal mobility;
 - c) Failing in a component;
 - d) Student's intention to take extra component(s) in a semester;
 - e) Other objective ground(s) approved by the faculty board decision.

4. EXAMINATION AND ASSESSMENT REGULATIONS

Examination Rules

Before conducting midterm or final exams, the Study Process Management Office informs students at least 7 days before the actual exam date and time. Students get notification regarding excuse midterm/final exams 2 days before the actual exam dates. Make-up exam dates will be announced in 1 day after the results of final exam have been released. The information will be placed on faculty web-pages and Student Information System – www.sis.ibsu.edu.ge. The **venue** of the abovementioned exams students receive notification at least 15 minutes before the relevant exam by the electronic information system. Midterm exam are conducted by the faculty, the final exams are conducted by the Examination Center.

Cheating:

- In case of violating exam rules (including an attempt of cheating/cheating, helping others cheat, talking with other student on any topic and etc.) the students' exam result will be nullified and they will be treated according to Student Disciplinary Regulation (R07).
- If in the process of marking examinations (within 5 calendar days from exam date) the lecturer has doubts that the student has cheated (e.g. two students have exactly the same wording of an answer), the lecturer, upon Faculty/School Board's decision, may ask the student(s) to sit the exam once again. If the student(s) cannot confirm the level of knowledge they presented on the examination paper, the case will be viewed as cheating and the grade will be "0" zero and they will be treated according to Student Disciplinary Regulation (R07).

Taking Make-up Exam:

A student is entitled to take a make-up examination if:

- a) A student's overall grade (midterm evaluation plus final assessment grade) is between 41-50 points.

b) A student's overall grade (midterm evaluation plus final assessment grade) is at least 51 points and he/she failed the final evaluation – could not pass the minimal competence level set for the final evaluation.

Retaking a Study Component:

- If a student could not pass the minimal competence level set for midterm evaluation, he/she is not admitted to the final evaluation, which means that she/he has to retake the component;
- If student's final grade (sum of midterm evaluation and final evaluation) is less than 41 points, or if he/she could not pass the minimal competence level set for the final evaluation/make-up exam, the student has to retake the study component;
- If the failed components are obligatory, the student shall re-take them. If the failed component is an elective, the student can take another elective study component (unless there are no requirements by the program).

4.1. ASSESSMENT REGULATIONS

IBSU's one of the principles of assessment is transparency - information on the evaluation methods and criteria should be accessible to everyone. The student will be informed at the beginning of each academic semester when and with what criteria his/her knowledge will be assessed. The system of evaluation (assessment method and points given to each evaluation component) is outlined in the related syllabus and is announced to the students at the beginning of the semester.

The credit system allows:

a) Five types of positive assessment:

a.a) (A) Excellent – 91-100 points.

a.b) (B) Very good – 81-90 points.

a.c) (C) Good – 71-80 points.

a.d) (D) Satisfactory – 61-70 points.

a.e) (E) enough -51-60 points.

b) two types of negative assessment:

b.a) (FX) can't pass -41-50 points, which means that a student needs more work to pass and is allowed to take an additional exam once with independent work;

b.b) (F) failed -40 points and less, which means that the work done by the student is not enough and he/she has to study the subject again.

The final grade is composed of the summation of midterm evaluation(s) and the final evaluation.

The maximum assessment point is 100. The passing grade for awarding credits is 51 points for Bachelor's program and this grade shall consist of points of the points of the midterm evaluation and the points of the final assessment. Herewith, the student should have passed the minimal competence level set for midterm evaluation and final assessment. **The student should have passed minimal competence levels set for midterm evaluation and final assessment.**

The minimal competence level - the minimal competence level is the amount of points determined by a specific assessment form (midterm evaluation and final assessment) that a student must overcome in order to pass a particular component. Minimal competence levels are different according to the subjects. Information about the minimum competence level is outlined in the related syllabus of the course and is announced to the students at the first lecture by the lecturer. The minimal competence level of the midterm/final evaluation should not be less than 20% of the maximal point of the relevant evaluation. The minimal competence level for Master's thesis and dissertation is at least 51% of the maximal point. Herewith, the share of the marginal competence level of the final assessment shall not exceed 60% of the final assessment. The minimal competence level of a particular educational component is determined by the lecturer, considering the specificity of the educational component.

Total Midterm Evaluation shall consist of students' class participation at least 6 points, i.e. the lecture is free to determine the format of activities in accordance with the requirements of the corresponding study component/course.

Midterm Exam: an exam held in the 8th - 9th weeks during the semester. Midterm exam could be held either in written (printed or electronic), oral format, or mixed.

Final Assessment: the assessment conducted in two weeks allocated for the final assessment by university administration at the end of semester.

Excuse Exam: an exam taken instead of the missed midterm/final exam. Excuse midterm exam is conducted in the 11th week during the semester, excuse final – not less than 3 and not more 5 calendar days after the final exam.

Students must prove their valid excuses for the missed examination(s) by submitting the following related documents to the faculty board (students must prove their valid excuses for the missed exams within 5 calendar days after the date of the midterm exam and 2 calendar days after final exam):

- a) Certificate of planned/emergency hospitalization;
- b) Course overlapping;
- c) Service in the army;
- d) Business trips on behalf of IBSU and State Bodies;
- e) Death of the family member.

The valid excuses for the missed examination(s) are also considered the circumstances in which the student was objectively unable to write an exam.

Make-up Exam: an exam taken to replace the result of a final assessment. A student is entitled to take a make-up examination if:

- a) A student's overall grade is (midterm evaluation plus final assessment grade) 41-50 points;
- b) A student's overall grade (midterm evaluation plus final assessment grade) is at least 51 point and he/she could not pass the minimal competence level set for final assessment

There is only one make-up exam for each course. It is free-of-charge. The result (grade) of the make-up exam will replace the result of the final assessment.

4.2. ADDITIONAL SEMESTER

If a student is not able to complete the educational program on time, he/she has the opportunity to continue his/her study process on self-financing basis and preserve student's active status for additional 8 semesters on Bachelor's programs. The tuition fee for an additional semester is equal to the amount paid by first-year students in the correspondent academic year.

4.3. REPEATED COURSE

When a student would like to improve his/her GPA, he/she can take up to three "repeated study courses".

To be admitted to these courses, credits for the corresponding course(s) s/he wants to retake should have already been awarded to the student.

Financial responsibilities for taking repeated course(s) are the same as taking an extra course during a semester.

Academic registration for Repeated Course is held during academic registration week, in compliance with the rules related to registration on study components.

Received grade in Repeated course will replace assessment received in prior study course.

5. STUDENT'S STATUS

5.1. SUSPENSION OF STUDENT STATUS:

The grounds for the suspension of student status shall be as follows:

- Pregnancy, childbirth, childcare or health deterioration;
- Financial debt;
- Not being registered academically (besides studying within the framework of an exchange program);

- Not being registered financially;
- Studying at a higher educational institution abroad (besides studying within the framework of an exchange program);
- Personal application (without indicating the reason);
- Not having health and accident insurance policy (is required for international students).

The student status of the individual shall be terminated 5 years after the suspension status had been granted.

5.2. TERMINATION OF STUDENT STATUS

The grounds for the termination of student status are:

- Receiving an academic degree;
- Mobility (transferring) to another university;
- Failing at least study components two obligatory study components for three times (except the case, when the student enjoys the right to internal mobility on the educational program which does not consider failed study components with obligatory status);
- Violation of disciplinary norms, which leads to termination of student status under “Disciplinary Regulation for Students” (R7);
- Suspension of student status for more than 5 years;
- Personal application;
- Death;
- Non-completion of educational program during additional semesters (please see 4.2).

5.3 RESTORATION OF STUDENT STATUS

Student is entitled to restore terminated status within 5 years after suspension.

For these purposes, the student applies to the faculty no later than two weeks before the beginning of the study process.

After the restoration of student status, due to the changes to the educational program (if any), student might be required to take additional components.

6. STUDENT RIGHTS

6.1. A student shall be entitled to:

- 6.1.1. Receive education in accordance with the accreditation standards;
- 6.1.2. Participate in research activities;
- 6.1.3. Make use of IBSU's material and technical, library, information and other resources in accordance with the procedures envisaged by IBSU's Regulations;
- 6.1.4. Elect a representative and be elected to the student self-governance, also the managerial bodies of faculty and other units of the university on the basis of general, direct and equal elections by secret ballot in accordance with IBSU's regulations;
- 6.1.5. Freely establish and/or join student organizations based on his/her own interest(s);
- 6.1.6. Receive financial support and /or other types of subsidies as depicted in IBSU regulations;
- 6.1.7. Freely express his/her opinion and refuse to share those ideas, proposed thereto during the study process in a well-substantiated manner;
- 6.1.8. Move to another HEI from the second year of study in accordance with the procedure envisaged by the law of Georgia and the statute of receiving HEI and in the case of moving to an accredited higher education program – take the government funding allocated for him/her with him/her in compliance with Georgian legislation;
- 6.1.9. Transfer internally to another educational program of IBSU after one active semester in accordance with the rules established by Georgian legislation and IBSU regulations;
- 6.1.10. Choose an educational program, participate in the process of designing and development of individual study program;
- 6.1.11. Periodically take part in the process of evaluating the work of academic personnel in cooperation with Quality Assurance Office (QAO);
- 6.1.12. Organize student meetings upon agreement with the administration observing the Georgian legislation and IBSU regulations. Students' meetings must neither disrupt nor interfere with the order and educational process of the university, nor violate state laws, nor university rules;
- 6.1.13. Discuss an issue with the following positions in the order below:
 - 6.1.13.1. Study process administrator;
 - 6.1.13.2. Program Coordinator;
 - 6.1.13.3. Faculty Dean.
- 6.1.14. Write official requests to the Dean on academic affairs and the Chancellor on tuition and other financial issues;
- 6.1.15. Receive a fair and unbiased assessment;
- 6.1.16. Discuss the exam paper with the lecturer and receive feedback and object to examination results after the grades are submitted to SIS (Student Information System);

6.1.17. Exercise other rights conferred to him/her by IBSU regulations, the student contract and the “Georgian Law on Higher Education”.

6.2. The University is obligated to ensure a fair and unbiased assessment of the student’s knowledge, for which it develops appropriate procedures.

6.3. The private information provided by the student in the presence of the academic personnel, also the information about student’s views, faith and political beliefs which became known to the academic personnel during the study process, also the information regarding the disciplinary measures against the student shall be confidential except for the case when the student’s permission is in place or the administration has the lawful interest to defend the security of others and the rights guaranteed by law.

6.4. The duties of student are:

6.4.1. To study and move forward in intellectual development, while taking advantage of the opportunities provided in the university environment for total personal growth, development and maturation;

6.4.2. To study all the components selected thereby at his/her own free will as well as obligatory components as outlined in university’s program and comply with the IBSU regulations;

6.4.3. To observe regulations and requirements of university’s regulations. Ignorance of rules of the university shall not be a defense to any erring student. All students are therefore required to familiarize themselves with the rules and regulations of IBSU;

6.4.4. To observe obligations originating from the mutual agreement between the student and university;

6.4.5. To protect and take care of the property and the material-technical means of the university;

6.4.6. To follow the environmental, ecological, sanitary, fire safety and other general provisions.

6.5. Mutual obligations and rights and duties of a student and the university is determined and regulated by IBSU regulations, contract between the student and the university, as well as by “Georgian Law on Higher Education”.

7. ACADEMIC CALENDAR

An academic year mainly consists of Fall and Spring semesters and holidays. The academic year covers maximum 12 months and is defined by the academic calendar. The academic calendar is available at IBSU’s official website:

<http://www.ibsu.edu.ge>

8. PREREQUISITES

Prerequisite is one of the components of the course structure. Some of the courses of Educational Program requires the prerequisites. The student is not able to pass to the following level of the course without the successful completion of the prerequisite courses of related subject. Those students who failed the prerequisite components will not be able to take the connected components.

9. INTERNATIONAL PROGRAMS

Students can gain a global perspective by participating in exchange programs offered at other universities world-wide. IBSU has more than 60 partner universities around world. For further information, you may apply to International Relations Office (**iro@ibsu.edu.ge**, Building A, Room #215).

10. INTERNSHIPS

Students have the chance to participate in internship in Georgia or abroad in accordance with the syllabus. You may consult to the responsible person at your faculty.

11. USING SMART, SIS, IBSU EMAIL, ID CARD

11.1. Smartest Way of Learning – SMART

Every professor is obliged to use the university web-page “The Smartest Way of Learning” (the so called “SMART”) located at the web-address: **smart.ibsu.edu.ge**.

The web-page smart is generally used for uploading the study materials as well as for the information regarding the weekly home assignments for the students.

11.2. Student Information System – SIS

Students registered already have the sis account (**sis.ibsu.edu.ge**) with login number and password acquired from the Study Process Management office, where they may navigate through their profile, see marks etc.

11.3. ID Card

Students registered at the university are presented with a student ID card, which identifies its owner as a student in IBSU.

11.4. IBSU Mail

Students of IBSU are provide with IBSU e-mail account while registration. Any Official notification and other necessary information will be sent to such IBSU mail addresses.

12. HOW TO ACCESS REGULATIONS AND FORMS

All IBSU regulations and forms are uploaded on IBSU QMS Documentation Platform - <https://www.tqm.ibsu.edu.ge>. In case of any interest or comment, the student may enter via their IBSU mail account and see or download them.

13. CONTACT INFORMATION OF ADMINISTRATIVE UNITS:

Faculty of Law:

lawfaculty@ibsu.edu.ge
+995 32 2595006 (171)
room: A314

Faculty of Business and Technologies:

bm@ibsu.edu.ge
+995 32 2595006 (188)
room: N 311

Faculty of Social Sciences, Humanities & Education:

sseduhum@ibsu.edu.ge
+995 32 2595006 (124)
room: N 302

Study Process Management Office:

study@ibsu.edu.ge
+995 32 2595006 (175)
room: N 109

International Relations Office:

iro@ibsu.edu.ge
+995 32 2595006 (140/169)
room: N 217/2015

Accounting Office:

accountingoffice@ibsu.edu.ge
+995 32 2595006 (139)
room: N 206

**STUDENT'S SELF-GOVERNANCE:
PRESIDENT: LIA LOLOMADZE**

**DELEGATES OF STUDENT SELF-GOVERNANCE:
FACULTY OF BUSINESS AND TECHNOLOGIES
MARIAM KHANTADZE**

**FACULTY OF SOCIAL SCIENCES, HUMANITIES & EDUCATION
MARIAM KANTELASHVILI**

**FACULTY OF LAW
GIORGI TSIKLARI**

